ხელშეკრულება № 143
„საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა“ (CPV კოდი: 30100000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 10 ივლისი 2014 წელი.

ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „ქართული ხელნაწერის“ ფარგლებში ერთის მხრივ სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ჟღენტის სახით (შემდგომში – "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „საკანცელარიო სამყარო“ წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ბოლქვაძეს სახით (შემდგომში – "მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საჭიროებისათვის სხვადასხვა „საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა“ (CPV კოდი: 30100000) მიწოდება;

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართში (ინვოისი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 152.40 (ას ორმოცდათორმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს (დანართი N1);

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდაც ეკისრება "მიმწოდებელს";

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (სამი) სამუშაო დღისა.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1. საქონლის მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, ანგარიშფაქტურით ან სასაქონლო ზედნადებით.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1/3
ტელ: (995 32) 247-42-42

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მიწოდებული საქონლის ხარისხი
5.1. საბოლოო შემოწმების შედეგად ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში "მიმწოდებელი" საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ნაკლიანი საქონლის უნაკლოთი შეცვლას.
5.2. ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში "შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია
ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
7.1. "შემსყიდველის" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.
7.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანასღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".
7.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 8. პირგასამტეხლო
8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-

ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

8.4. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, "შემსყიდველის" საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1. თუ წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წამოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევების დროს;
ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირორების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ უთანხმოება, დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;
11.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზანოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა
ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა
ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმდების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 16. სხვა პირობები
ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ერთი პირი "მიმწოდებელთან" ერთი პირი "შემსყიდველთან".

"შემსყიდველი"
სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მის: ქ. თბილისი, ალექსიძის 1/3
ს/კ 211368474
ტელ.: 247-42-42
სს „საქართველოს ბანკი"
GE04BG0000000832624100

"მიმწოდებელი"
შპს „საკანცელარიო სამყარო"
ქ. თბილისი, რობაქიძის 7
ს/კ 202335721
სს „პროკრედიტ ბანკი"
ბ/კ MIBGGE22
ა/ნ GE40PC0183600100024848

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

/გ. ჟღენტი/

დირექტორი:

/ალექსანდრე ბოლქვაძე/

დანართი N1

CPV	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
30192123	პასტა ტუშის	ცალი	45	2.25	101.25
30197620	ქაღალდი 250 გრ. ა4	შეკვრა	1	22.50	22.50
30192130	ფანქარი კოხინორი	ცალი	15	0.45	6.75
30194810	სახაზავი 30სმ. გამჭირვალე	ცალი	15	0.63	9.45
30192100	საშლელი კოხინორის	ცალი	15	0.18	2.70
30192133	სათლელი ტიკო	ცალი	15	0.36	5.40
30192100	დაფის საშლელი	ცალი	1	1.83	1.83
30192125	მარკერი დაფის	ცალი	4	0.63	2.52
				სულ:	152.40

"შემსყიდველი"
სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მის: ქ. თბილისი, ალექსიძის 1/3
ს/კ 211368474
ტელ.: 247-42-42
სს „საქართველოს ბანკი"
GE04BG0000000832624100

"მიმწოდებელი"
შპს „საკანცელარიო სამყარო"
ქ. თბილისი, რობაქიძის 7
ს/კ 202335721
სს „პროკრედიტ ბანკი"
ბ/კ MIBGGE22
ა/ნ GE40PC0183600100024848

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

/გ. ჟღენტი/

დირექტორი:

/ალექსანდრე ბოლქვაძე/